# „სამაჩაბლოს აღორძინების ფონდისათვის“

„ლელოს“ რედაქციამ გადაწყვიტა გაზეთის ერთი ეგზემპლარის ღირებულება საცალო ვაჭრობაში 1991 წლის 1 იანვრამდე გაზარდოს 3-დან 15 კაპიკამდე, ზედმეტური თანხა მთლიანად „სამაჩაბლოს აღორძინების ფონდში“ გადაირიცხება. კონკრეტულად ეს შემდეგნაირად მოხდება: ნაცვლად 3 კაპიკისა, „სოიუზპეჩატის“ ჯიხურებში „ლელოს“ მყიდველი 1 იანვრამდე, გადაიხდის 15 კაპიკს. „სოიუზპეჩატი“ ჩვეულებრივ მიიღებს წილს 3 კაპიკიდან, როგორც ეს დადგენილია, დანარჩენი 12 კაპიკის ჯამს კი მთლიანად გადარიცხავს „სამაჩაბლოს აღორძინების ფონდში“. საკითხი შეთანხმებულია გამომცემლობისა და „სოიუზპეჩატის“ ხელმძღვანელობასთან. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ „ლელოს“ წლევანდელი მოგება მილიონზე მეტი მანეთი მთლიანად „სამაჩაბლოს აღორძინების ფონდში“ გადაირიცხება.

ძვირფასო თანამემამულენო, „ლელოს“ მკითხველებო, იმედია, ჩვენს წინადადებას გამოეხმაურებით, თქვენს მიერ გაზეთის შეძენისას, ამ ორი კვირის განმავლობაში გაღებული ყოველი ზედმეტი 12 კაპიკი, საბოლოო ანგარიშით შეადგენს სოლიდურ თანხას, რომელიც დღეს ასე ესაჭიროება რესპუბლიკას სამაჩაბლოში, უოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე, ქართული სოფლების გასაშენებლად.

„ლელოს“ რედაქცია.

ყურადღება!

15 კაპ.

„ლელო“

ლელო

საქართველოს რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის გაზეთი

16 დეკემბერი, კვირა, 1990 წ.
№ 239 (10 408) ● ფასი 3 კაპ.
„ლელოს“ დღევანდელი ნომრის ფასი 15 კაპიკი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

შეიქმნა „სამაჩაბლოს აღორძინების ფონდი“. თანხა შეგიძლიათ გადარიცხოთ საქართველოს მრეწველმშენბანკის საოპერაციო სამმართველოში სფზ № 521921. „სამაჩაბლოს აღორძინების ფონდი“.

# 00700750

ველით თქვენს გამოხმაურებას. თანხის გადარიცხვის თაობაზე გვაცნობეთ „ლელოს“ რედაქციაში.

## 100 ათასი მანეთი გაერთიანება „საქსპორტკულტსაქონლიდან“

გაერთიანება „საქსპორტკულტსაქონელმა“ (გენერალური დირექტორი მ. ტყეშელაშვილი) „სამაჩაბლოს აღორძინების ფონდში“ 100 ათასი, საზოგადოება „ლემის“ ფონდში კი 50 ათასი მანეთი გადარიცხა.

ჭაბუკ მოკრივეთა IX ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ პრიზზე.

## თუმცა დიდ გამოცდილებას მოითხოვს

**საერთო** აღიარებით, ჩვენი ტურნირი მონაწილეთა შემადგენლობით და რაოდენობით (წელს 114-მა ჭაბუკმა სცადა ძალა) არაფრით ჩამოუვარდება საკავშირო თუ ევროპის ოფიციალურ ჩემპიონატებს. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ძალზე შემჭიდროებულად — 4 დღეს მიმდინარეობს. მაშინ როდესაც, ჩვეულებრივ, დიდი შეჯიბრება 10 დღემდე გრძელდება. ცხადია, ასეთი „მკაცრი“ რეგლამენტი სპორტსმენთაგან ძალთა სხვაგვარ განაწილებასა და დიდ სატურნირო გამოცდილებასაც მოითხოვს. ამიტომ, ვფიქრობ, ჩვენმა ჭაბუკებმა — კობა გულბანმა, გიორგი ხიდაშელმა და სხვებმა, რომლებიც ასპარეზობის ნახევარფინალამდე მივიდნენ და გამოეთიშნენ ტურნირს, გული არ უნდა გაიტეხონ და გულმოდგინე, სისტემატური მეცადინეობით დაამტკიცონ, რომ მათი პირველი წარმატებები, რაზეც ასპარეზობის წინა დღეებში ვწერდით, სულაც არ იყო შემთხვევითი. აღსანიშნავია, ისიც, რომ ამ ჭაბუკებს ტურნირის ამ ეტაპზე საქმე ჰქონდათ მათზე ბევრად გამოცდილ მეტოქეებთან. გულბანის წინააღმდეგ, მაგალითად, გამოდიოდა კობა გოგოლაძე, რომელმაც ამას წინათ, თურქეთის დიდ საერთაშორისო ტურნირში საპრიზო ადგილი დაიკავა. ხიდაშელმა კი არანაკლებად გამოცდილ რუმინელ ლეონარდ ნიკოლაესთან დათმო ბრძოლა. ზურაბ ტალიაშვილი (63,5) ამ დღეს სსრ კავშირის ნაკრების წევრის, თბილისელ ილია ფაროიანის წინააღმდეგ გამოდიოდა, გორელ დავით ჯანაშვილსაც (81) საკავშირო ნაკრების წევრი ჰყავდა მეტოქედ — ვლადიმერ ნიგმატულინი.

რაც შეეხებათ ჩვენს პირველ ნომრებს, ევროპის ჩემპიონებს: რამაზ ფალიანს (51 კგ), პაატა გვასალიას (57), ცხინვალელ ვადიმ ქოქოევს (75), გორელ გიორგი კანდელაკს (91), მათ დიდი უპირატესობებით განვლეს წინასწარი ორთაბრძოლები. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი ვ. ქოქოევი, რომელმაც ვადამდე, აშკარა უპირატესობით დაამთავრა ბრძოლები და ფინალში ისე გავიდა.

და აი, ფინალიც: აქ წონითი კატეგორიების მიხედვით ტურნირის გამარჯვებულის სახელები მოიპოვეს — 48 კგ. არტურ პარვანიანმა. 51. რამაზ ფალიანმა, 54. კობა გოგოლაძემ, 57. პაატა გვასალიამ, 60. დილშოდ ყურბანოვმა (ყველანი — სსრ კავშირის ნაკრები), 63,5. ქენან ონერმა (თურქეთი), 67. ჰაიკ აკოფიანმა, 71. ვაჰან ქოჩარიანმა (სსრ კავშირის ნაკრები), 75. ვადიმ ქოქოევმა (საქართველო), 81. იონ ვედუვემ (რუმინეთი), 91. გიორგი კანდელაკმა (საქართველო), +91. ზურაბ სარსანიამ (სსრ კავშირის ნაკრები).

**უშანგ ჭიჭინაძე**

წარმოგიდგენთ კანდიდატებს: საქართველოს ათი საუკეთესო სპორტსმენი.

გუნდი. მწვრთნელი.

## სიხარული და პასუხისმგებლობა



**სპორტში** ხშირად შემთხვევითობა უფრო ამართლებს, ვიდრე ასჯერ გაზომილი და ერთხელ გაჭრილი. დიახ, ასეც ხდება: ზოგჯერ კაცი სპორტის ამა თუ იმ სახეობას „გადაჰყოლია“, ბოლოს კი, შემთხვევის წყალობით, სხვაგან „ამოუყვია თავი“ და დიდადაც დაწინაურებულა. სწორედ ასეთი აღმოჩნდა ხათუნა ქვრივიშვილისთვის ის დღე, როდესაც თბილისის 132-ე საშუალო სკოლაში ახალგაზრდა, სიმპათიური გოგონა მივიდა — მშვილდოსანთა მწვრთნელი ნინო მიქანაძე და, თავად უკვე სპორტსმენის ცხოვრებაგამოვლილი, დიდი სიყვარულით ესაუბრა მშვილდოსნობაზე, იმ თავისებურ ხიბლზე, რაც სპორტის ამ სახეობას ახლავს. ხათუნა დაინტერესდა ამ საუბრით და გადაწყვიტა, მეორე დღესვე მისულიყო ვარჯიშზე. მამა მალე დაითანხმა (იგი დღესაც ერთგულად გულშემატკივრობს ქალიშვილს), დედა კი ორივემ ერთად დაიყოლია.

— პირველივე დღეს, ორმოცამდე მოსწავლე მივედით ვარჯიშზე, — იხსენებს ხათუნა — მწვრთნელმა ალექსანდრე მეჟევიძემ რომ დაგვხედა, თქვა, აქედან ერთი მაინც თუ გაიზარდა დიდი სპორტსმენი, ეგეც საქმეაო. მეორე ვარჯიშზე ჩვენი, დამწყებ მშვილდოსანთა ჯგუფი, განახევრდა; შემდეგში რამდენიმე ბავშვიღა მოვიდა; ბოლოს კი მე შემოვრჩი მხოლოდ.

● **მანამდე თუ გიფიქრია მშვილდოსნობაზე?**

— არა. მართალია, ქეთევან ლოსაბერიძე მიყვარდა და ვგულშემატკივრობდი, თავად არასოდეს მიფიქრია, გავყოლოდი სპორტის ამ სახეობას, კალათბურთით ვიყავი გატაცებული და დავდიოდი კიდეც, მაგრამ ჩვენი გუნდი დაიშალა და...

● **წელს, თუ არ ჩავთვლით საქართველოს ჩემპიონატის ოქროს მედალს, სხვადასხვა ტურნირებში „საპრიზო შედეგს“ ვერ მიაღწიე, შემდეგ კი მოულოდნელად ბარსელონაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედლით გაგვახარე...**

— ამ ტურნირზე თავდაპირველად ნატო ნასარიძე ლიდერობდა, შემდეგ — არჟანიკოვა, მომდევნო ეტაპზე — მე. საბოლოოდ, ნატო პირველ ადგილზე გავიდა, მე — მეორეზე, რამაც საშუალება მომცა ნახევარფინალში გავსულიყავი. ბრძოლის ეს ეტაპიც მოვიგე, ფინალში კი ერთნაირქულიანებს სამი დამატებითი ისარი გვასროლინეს, ურიგოდ არ მისვრია, და მესამე ადგილი დავიკავე. გუნდურ პირველობაზეც კვლავ მე, ნატო და არჟანიკოვა გამოვდიოდით და გავიმარჯვეთ კიდეც.

ია მ[illegible]



გუშინ თბილისში გრძელდებოდა თანამედროვე ხუთჭიდელთა ღია პირველობა საქართველოს სპორტსაზკომის პრიზზე.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## ცხინვალი, 1881 წელი

„**დღეს** ცხინვალი დღესასწაულობს „ზღუდრობას“... ცხინვალი მოუთმენლად მოელოდა თავის ზღუდრობას. იგი არა თუ მარტო დღესასწაული, არამედ „იარმუკაც“ გახლავთ ჩვენთვის... დღეობას ჩვენში ერთი კარგი გავლენა აქვს — დღეობა არის შემნახავი და მფარველი ზოგიერთი კარგი ჩვეულებისა. თუ ბერძნებს უყვარდათ და აფასებდნენ გიმნასტიურ თამაშობას, ჩვენც საბუთი არა გვაქვს, რომ არ გვიყვარდეს ჯირითი, ჭიდაობა, თამაშობა... სადაც დღეობაა, იქაც ყველა ეს უნდა იყოს... ქართველ ხალხს უყვარს ჭიდაობა, სიმღერა, ჯირითი. ვინ დაძრახავს მას ამისათვის?

...ჩვეულებისამებრ ამწვანებულ ფართო მინდორზედ გაიმართა ჭიდაობა. როგორც „ბობოლაებს“, ისე გლეხკაცსაც სურს და უნდა თავის სამშობლოს შვილების ფიზიკური ძალა, სიმარდე დაინახოს... სამწუხაროა, რომ დღეობა ნელ-ნელა კარგავს იმ ზნეობითს გავლენას ხალხზედ, რომელიც იმას უწინ ქონდა“.

**ზ-ი, ცხინვალი, 17 მაისი. „დროება“, 1881, № 107. 26.5. გვ. 2-3.**

### ინფორმაცია

**ქართველი** ძიუდოისტების გამარჯვება, მით უფრო საკავშირო შეჯიბრებებში, დღეს აღარავის უკვირს. არც კახა ლიპარტელიანის (მწვრთნელი გურამ გუგავა) წარმატება ყოფილა ჩვენთვის მოულოდნელი: ლენტეხელმა ჭაბუკმა შესანიშნავად იასპარეზა სამარყანდში გამართულ სპორტსაზოგადოებების პირველობაზე და თავის წონაში (68 კგ) 5 საკმაოდ ძლიერ მოწინააღმდეგეს სძლია — 3 წმინდად დაამარცხა, 2 ქულებით და პირველ ადგილზე გავიდა. გარდა ამისა კ. ლიპარტელიანს გადაეცა ბრინჯაოს მედალიც, როგორც „შრომითი რეზერვების“ წევრს, — ამ საზოგადოების გუნდმა III ადგილი დაიკავა.

მთა და მისი პრობლემები

# ვინ ჭრის და ვინ კერავს ასე უგემოდ?

**სვანეთს წინათ უსამართლობას შებრძოლებული კაცი თუ მიაკითხავდა თავის შეფარების მიზნით, თორემ ბარიდან სხვა თითქმის არავინ ადიოდა. სვანეთიც, თუ რამ შეეძლო, უდრტვინველად და ალალად გაიღებდა და საკუთარ გაჭირვებასაც თვითონვე შველოდა ავად თუ კარგად. ახლა კი, ცივილიზაციის გაუკუღმართებულმა გაგებამ საქართველოს ეს საუნჯედქცეული კუთხე განსაცდელის წინაშე დააყენა: წინათ თუ ბარად მხოლოდ ნამატი მოსახლეობა ჩადიოდა, ახლა ისედაც ახოზრივად აიყარა თავის ბუდიდან, სტიქიისგან დაზარალებულებზე არაფერს ვამბობ, სხვაც ბევრი ეძებს ადგილს, ოღონდ სადმე დასახლდეს. სანამ გვიან არ არის, საჭიროა მიგრაციის შეჩერება. ამისათვის, ვფიქრობთ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება სვანეთში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაცაა.**

**ახლა** აღარავინ დაობს იმაზე, რომ საქართველოს ეროვნული აღორძინების მისია სპორტმაც უნდა იტვირთოს. აქაც თავისებური ნიჭი, ძალა და გამბედაობაა საჭირო. ეს თვისებები უხვად მოჰმადლა განგებამ მთიელ კაცს, ამიტომ ეს რეზერვი დროულად და სრულად უნდა ჩავაყენოთ ერის სამსახურში.

მესტიასა და ლენტეხში ნიჭიერი ახალგაზრდობა გვყავს და მათ მშობლიურ კუთხეშივე უნდა ჰქონდეთ ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის საშუალება.

ალბათ, ცოდვას ჩავიდენ, თუ ნაწილობრივ მაინც არ გამოვხატავ მესტიელი ახალგაზრდების, მათი მშობლების და მთლიანად იქაურ მშრომელთა გულისტკივილს რაიონის სპორტულ ცხოვრებაში არსებულ ნაკლოვანებებზე.

დღევანდელი ცხოვრების ვერც ერთი სფერო ვერ გადაურჩა სერიოზულ ნაკლოვანებებს. სვანეთშიც ასეა, მაგრამ მოზარდი თაობის ზნეობრივ და ფიზიკურ აღზრდა-ჩამოყალიბებაში შეცდომის შეცდომაზე მიმატება უმძიმესი დანაშაულია. ახალგაზრდობის აღზრდის ერთ-ერთი მთავარი გზა, უკვე ვთქვით, ფიზკულტურასა და სპორტზე გადის. ოღონდ, ჩვენი მიზანი ამჯერად არც დამნაშავის ძებნა და მხილებაა, არც ვინმეს დასჯა და გაშავება. პირიქით, ჩვენი სურვილია, ურთიერთგაგების, აზრთა გაზიარების და ურთიერთდახმარების ატმოსფეროს შექმნა, მაგრამ არც იმ პრინციპს ვივიწყებთ: „მოყვარეს პირში უძრახეო“.

მოსახლეობის სიმცირისა და მატერიალურ-ტექნიკური სიდუხჭირის მიუხედავად, სვანეთი ყოველთვის ცნობილი იყო სახელოვანი, სპორტზე ფანატიკურად შეყვარებული ადამიანებით — გამოჩენილი მთამსვლელებით, მოთხილამურეებით, მეკლდეურებით, მოჭიდავეებით, მოკრივეებით, რომლებმაც ქართული სპორტის მატიანეში მრავალი სასახელო ფურცელი ჩაწერეს. ამის საილუსტრაციოდ მარტო ერთი ფაქტიც კმარა: საქართველოში — მთამსვლელების ამ კლასიკურ ქვეყანაში — ცამეტი სპორტის დამსახურებული ოსტატიდან, შვიდი მესტიის რაიონის მკვიდრია.

ამ წერილის ავტორის პირად არქივში ათეულობით წერილის ასლი ინახება გამოჩენილი მთამსვლელების (ისინი ამავე დროს, შესანიშნავი მოთხილამურეებიც იყვნენ) ბექნუ და მიხეილ ხერგიანების, ჭიჭიკო ჩართოლანის, მაქსიმე გვარლიანის ხელმოწერებით, რომლებიც მესტიის რაიონში სპორტის განვითარებისათვის საჭირო მატერიალური ბაზის შექმნის საკითხებს აყენებდნენ. მაგალითად, ამ მოთხოვნათა საფუძველზე დაიწყო მესტიაში მთამსვლელთა ბანაკის მშენებლობა, რომელმაც სხვადასხვა უწყებათა ხელში მრავალი სახეცვლილება განიცადა და ბოლოს... მთამსვლელებისთვის უვარგისად გამოცხადდა — ტურისტებს გადაეცათ.

მშენებლობის ხანგრძლივობის საკავშირო რეკორდიც ალბათ ამ ტურბაზას ეკუთვნის: იგი 27 წელი (?!) შენდებოდა. ამჟამად, მშენებლობის დაწყებიდან 31 წელია გასული, ბაზამ მრავალი რეკონსტრუქცია განიცადა, სრულყოფილი კი მაინც არ არის. სამი წლის წინ, იგი ისევ მთამსვლელებს დაუბრუნდათ, ამით ნამდვილად საშვილიშვილო საქმე გააკეთა საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურმა საბჭომ. თუმცა, ამ მდგომარეობაში ბაზის დატოვება იმას ნიშნავს, რომ სრულად ვერც მომავალში ისარგებლებს ვინმე მისი სიკეთით. არადა, დღეს სხვა დრო დგება. ეგზოტიკის მოყვარული ბევრი უცხოელი იმის მოლოდინშია, როდის მივცემთ საშუალებას. დატკბეს სვანეთის საოცრებებით, რომელნიც ათენის აკროპოლისთან, პიზის კოშკთან, ქალაქ-მუზეუმ მცხეთასთან, მცხეთის ჯვართან და სხვა ღირსშესანიშნაობებთან ერთად იუნესკოს მიერ მსოფლიო კულტურისა და ბუნებრივი მემკვიდრეობის საგანძურშია შესული. ჩვენ კი აქ თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი ორი კაცის გასათევი ადგილი არ გაგვაჩნია.

იმავე ბაზის ტერიტორიაზე, ავტორიტეტულ სპორტსმენთა თხოვნით, 1957 წელს აშენდა საბაგირო გზა. გაიჩეხა ტყე, დაიხარჯა დიდძალი სახსრები. მაგრამ გზა ისე გავერანდა, ერთი დღეც არ უმუშავია. ტყე კი ისევ ამოიწვერა, მაგრამ ხალხის მეხსიერებაში მაინც დარჩა უნაყოფო შრომა და წყალს გატანებული სახსრები.

70-იან წლებში, ისევ ცნობილ სპორტსმენთა თხოვნით, მესტიაში, რესპუბლიკაში პირველად, შემოიტანეს უცხოური, ვალუტაზე შეძენილი ხელოვნურსაფარიანი ტრამპლინი თხილამურებით ხტომისათვის. სამწუხაროდ, ტრამპლინი არ აშენდა, ხელოვნური საფარი კი გაფუჭდა და განიავდა. ამ პერიოდში მესტიელი სპორტსმენები რესპუბლიკის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში საკავშირო სარბიელზეც კი გამოდიოდნენ, გახდნენ სპორტის ოსტატებიც. ამჯერად, მესტიაში სოლიდური თანხებით აშენებული ორი ტრამპლინია, მაგრამ ორივე უვარგისი და დაუმთავრებელია. იქ ხტომები არ შეიძლება და აღარც „მფრინავი მოთხილამურეები“ ჰყავს მესტიას. თითქმის იმავე პერიოდში მესტიაში შემოზიდეს ჩეხური ყაიდის სათრეველა საბაგირო გზის კონსტრუქციები, რომლებიც... 15 წელიწადი ღია ცის ქვეშ იჟანგებოდა. ამ ხნის განმავლობაში ვერანაირმა მიდგომ-მოდგომამ და ხვეწნა-მუდარამ ვერ გაჭრა, არავინ მოჰკიდა ხელი მის დამონტაჟებას. 8 წლის წინათ, როგორც იქნა, გატყდა ნავსი. საქართველოს „სპეცტრანსმა“ გამოიჩინა კეთილგანწყობა და ერთდროულად ორი საბაგირო გზა — სავარძლიანი და სათრეველა ააშენა. ერთი შეხედვით, თითქმის ყველა სამუშაო შესრულდა — ასე აცხადებენ მშენებლებიც — მესამე წელია, ყოველ შემოდგომაზე, ხან გაზეთებში, ხანაც ტელევიზიით, აცხადებენ, მესტიელებს აუხდათ ოცნება და ამუშავდება ორი საბაგირო გზაო, მაგრამ ისინი ამ ბედნიერებას ვეღარ ეღირსნენ.

ქვედა, ანუ სავარძლიან გზას, რომელსაც მესტიიდან ჰაწვალის პლატოზე უნდა აჰყავდეს ხალხი, თითქოს არა უშავს, საცდელად აამუშავეს კიდეც, მაგრამ წელს, აგვისტოში, როცა ერთხელ კიდევ, ისევ საცდელად, სავარძელში ორი ადამიანი ჩასვეს, გორგოლაჭიდან ბაგირი ამოვარდა. მუხრუჭმა არ უმტყუნა და ბაგირი გაჩერდა, მაგრამ 5 საათს ეკიდნენ 10-12 მეტრის სიმაღლეზე დაშინებული და დაქანცული მგზავრები, ვიდრე მთამსვლელთა ბანაკიდან მაშველი ჯგუფის წევრები არ მოვიდნენ და თოკებით არ ჩამოხსნეს ისინი. ბაგირი დღესაც ამოგდებულია და არავინ ფიქრობს მის აღდგენაზე.

წელს, ივნისის დასაწყისში, „ლელოს“ მეშვეობით ვთხოვეთ მათ, ვისაც ეს საქმე ეხება, აემუშავებინათ, თუნდაც ერთი სავარძლიანი გზა, რომელიც მესტიაში ჩამოსულ მრავალრიცხოვან დამსვენებელს მოემსახურებოდა, მაგრამ...

ოქტომბრის ბოლოდან ამ მთაზე უკვე თოვლი დევს. ამუშავდება კი ეს გზა? თუ „სპეცტრანსის“ სამმართველო არ ჩაერევა საქმეში, ოცნება ისევ ოცნებად დარჩება. კითხვაზე, რატომ ვერ ამუშავებენ ამ გზას, „სპეცტრანსის“ სამმართველოს ხელმძღვანელობამ ასე გვიპასუხა: „სამი წელია, ვთხოვთ მესტიის რაიონის თავკაცებს, გამოგვიგზავნონ კადრები მოსამზადებლად. შარშან, ვინც წარმოგვიდგინეს, ისინი მოვამზადეთ, მაგრამ როგორც ჩანს, მათ ვერ იმუშავეს, ზუსტ ტექნიკას პროფესიონალები უნდა ემსახურებოდნენ. მათ შორის, ელექტროინჟინერი და მექანიკოსი. ასეთები კი მომსახურე ჯგუფში არ ჰყავთ“.

სხვათა შორის, „სპეცტრანსის“ დაკვეთით მოთხილამურეები სათხილამურო ტრასის მომზადებასაც შეუდგნენ, მაგრამ, ვის რად უნდა ის ტრასა, თუ სათრეველა საბაგირო გზამ არ იმუშავა, მკვდარ კაპიტალს ხომ ისევე მკვდარი, უმიზნოდ დახარჯული კაპიტალი მიემატება. საინტერესოა, ვინ ჭრის და ვინ კერავს ასე უგემოდ და უმიზნოდ? არავის ეგონოს, თითქოს მესტიაში არაფერი გაკეთებულა. როგორ არა, გაკეთდა, მაგრამ გამოყენებით კი არა, ასეა „გამოყენებული“. ამ წერილში მეტის ჩივილი აღარ ივარგებს, სხვას სხვა დროს ვიტყვით. იმედია, დაგვანახებთ, რომ საბაგირო გზების ამუშავება ახლა ფრიად საშური საქმეა.

**პირიბე გვარლიანი,**
„ლელოს“ საქ. კორ.
მესტია.

# სიხარული და პასუხისმგებლობა

(დასასრული)

● **დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია შენმა გამგზავრებამ საკავშირო ნაკრების შეკრებაზე, რომელიც კორეაში მოეწყო, რის გამოც გამოაკლდი საქართველოს ნაკრებს მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე. უშენობა კი ჩვენებს მძიმე ტვირთად დააწვა. ნუთუ ასე აუცილებელი იყო შენი საკავშირო ნაკრებში მივლინება?**

— რა თქმა უნდა, მოხარული ვიქნებოდი, საქართველოს ნაკრების სახელით გამოვსულიყავი მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე. იცით, წელს ერთხელ უკვე მოგვიხდა თურქეთში საქართველოს დამოუკიდებელი გუნდის სახელით გამოსვლა და, ვერ წარმოიდგენთ, რა სასიხარულო და საამაყოა, როცა შენი სამშობლოს სამფეროვანი დროშის ფრიალს უყურებ სხვა დროშების გვერდით. მე კი მსურდა, საქართველოს ნაკრების ღირსება დამეცვა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე, მაგრამ საკავშირო ნაკრების მწვრთნელმა ბალოვმა დარეკა თბილისში და დაემუქრა საქართველოს ნაკრების მწვრთნელებს, რომ, თუ მე არ გამიშვებდნენ შეკრებაზე კორეაში, ნაკრებიდანაც გამრიცხავდნენ და ვერც მსოფლიო ჩემპიონატში მივიღებდი მონაწილეობას, რომელიც 1991 წელს უნდა გაიმართოს. აქ იცოდნენ, რომ ბალოვი ის პიროვნებაა, რომელიც არავითარ კომპრომისზე არ მიდის, ამიტომ, დამრთეს ნება წავსულიყავი კორეაში.

● **ბარსელონა, თურქეთი, კორეა... ამასთან ერთად, სხვადასხვა შეჯიბრებები და შეკრებები კავშირის მასშტაბით... შენ კი მოსწავლე ხარ და სპორტის გარდა, სკოლაშიც დატვირთული ხარ. როგორ უთავსებ ერთმანეთს სწავლასა და სპორტს. პედაგოგები თუ გიწევენ გარკვეულ შეღავათებს?.**

— ჩვენი სკოლა გიმნაზიის ტიპისაა, ასე რომ, არავითარ შეღავათს არ მიწევენ და არც ვითხოვ. ვსწავლობ დამაკმაყოფილებლად, თუმცა, ვცდილობ, ამხანაგებს არ ჩამოვრჩე და, როგორც კი თავისუფალ დროს ვპოულობ, წიგნებს ჩავუჯდები ხოლმე.

● **როგორ ფიქრობ, სპორტსკოლაში ან სპეცკლასში რომ სწავლობდე, გაგიჭირდებოდა სწავლისა და სპორტის შეთავსება?**

— არ გამიჭირდებოდა, ვფიქრობ, საჭიროცაა, მაგრამ იქ მოხვედრა ძალიან ძნელია. დიდი ვაი-ვაგლახით მივაღებინეთ ჩემი ძმა, რომელმაც ჩემი წარმატებებით შეგულიანებულმა მშვილდსა და ისრებს მოჰკიდა ხელი.

● **წელან თავისუფალი დრო ახაენე. როგორ იყენებ მას?**

— როგორც ვთქვი, ვკითხულობ წიგნებს, ან ვაცხობ ნამცხვრებს, რომლებიც ძალიან უყვართ ჩემს ამხანაგებს. მშვილდთან ურთიერთობაში თითქოს სინაზეს ვკარგავ, რასაც სამზარეულოში ტრიალით ვანაზღაურებ.

● **ალბათ, ყველაზე „ნორჩი“ ხარ საუკეთესო სპორტსმენთა ათეულის კანდიდატთაგან. რას გრძნობ?**

— მოულოდნელობის, სიხარულის და მეტი პასუხისმგებლობის გრძნობა დამეუფლა — ნდობას ხომ გამართლება სჭირდება.

**ესაუბრა ინგა ჩახვაშვილი**



# ბილიარდი უბრუნდება ბათუმს

**ბათუმში** ძველად არაერთი საბილიარდო კლუბი მოქმედებდა, სადაც ამ თამაშის უამრავი მოყვარული იკრიბებოდა, მაგრამ, თანდათან ქალაქში ბილიარდი მივიწყებას მიეცა. დაიხურა კლუბები, რომელთა შენობები სხვა ორგანიზაციებმა დაისაკუთრეს.

ჩვენს ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებებმა სახე უცვალა თითქმის ყველა სფეროს, მათ შორის სპორტსაც. რეგისტრაციაში გატარდა საქართველოს საბილიარდო სპორტის ასოციაცია, რომლის წესდება ითვალისწინებს რეგიონებში განყოფილებების შექმნას.

წელს, 24 აპრილს, ჩატარდა ასოციაციის ბათუმის რეგიონალური განყოფილების დამფუძნებელი საინიციატივო ჯგუფის სხდომა, რომელმაც აირჩია განყოფილების დამფუძნებელი საორგანიზაციო კომიტეტი. კომიტეტის მრავალთვიანმა მუშაობამ მალე ნაყოფიც გამოიღო და დაფუძნდა კიდეც საქართველოს საბილიარდო სპორტის ასოციაციის ბათუმის რეგიონალური განყოფილება. აირჩიეს განყოფილების გამგეობა 7 კაცის შემადგენლობით, გამგეობის თავმჯდომარედ — ბათუმის საბაჟოს უფროსი ოლეგ გალოგრე, პასუხისმგებელ მდივნად — სიფხიზლისათვის ბრძოლის საზოგადოების ბათუმის საქალაქო საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი მიხეილ დიასამიძე.

**მ. დუმბაძე**

წიგნის თაროს შეემატა

# „რინგი-90“

**ქართულ** ენაზე გამოცემული სპორტული ლიტერატურით არასოდეს ვყოფილვართ განებივრებულნი, რაც იბეჭდებოდა, ისიც მეტწილად ნათარგმნი იყო.

არც კი გვახსენდება სპორტის ერთ სახეობაზე ისეთი წიგნის გამოცემა ქართულ ენაზე, რომელიც აბსოლუტურად ან თითქმის აბსოლუტურად ყველაფერს მოიცავდა და მკითხველს წარმოდგენას მისცემდა იმის თაობაზე, თუ რა გზა გაიარა სპორტის ამა თუ იმ სახეობამ, როგორ ამაღლდა იგი პროფესიულ დონემდე, ვინ იყვნენ მისი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები, რა ადგილი ეკავა საქართველოს სპორტის ამ სახეობის სამყაროში და ა. შ.

ამ დღეებში სწორედ ერთი ასეთი სქელტანიანი, უხვად ილუსტრირებული წიგნი გამოვიდა ქართულ ენაზე. წიგნს ჰქვია „რინგი-90“ (შემდგენლები ვ. მუსელიანი, ე. გიორგაძე, რედაქტორი გ. სალიაშვილი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1990 წ. კოოპერატივი „არწივი“. წიგნი 50 ათასი ტირაჟით დაისტამბა, ღირს 6 მანეთი და 90 კაპიკი). წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „კრებული მიძღვნილია წარსულისა და თანამედროვეობის პროფესიული კრივის დიდოსტატებისადმი. მკითხველი გაეცნობა მათი ბიოგრაფიების მრავალ ნაკლებადცნობილ ფაქტებს, ბრძოლებს, რომლებიც ისტორიულად არის მიჩნეული, რინგის ახალ ამბებს, აგრეთვე გამოჩენილი სპორტსმენების წვრთნის მეთოდებს. მისი შედგენის დროს გამოვიყენეთ მასალები ქართული, რუსული, ამერიკული, ინგლისური, იტალიური, ჩეხური, ბულგარული, იგოსლავიური, შვედური, ესპანური, პოლონური, იაპონური, ფრანგული, გერმანული ჟურნალ-გაზეთებიდან და წიგნებიდან.

ქართველი მკითხველი მაინცდამაინც განებივრებული არ არის ამ ვაჟკაცური სპორტისადმი მიძღვნილი წიგნებით. ამიტომ, შემდგომაც დავუბრუნდებით კრივის თემას“.

# საუკეთესო სპორტსმენები, მწვრთნელები

სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საკავშირო ორგანიზაციამ დაასახელა ათი საუკეთესო სპორტსმენისა და მწვრთნელის გვარი.

საუკეთესო სპორტსმენთა შორის მოხვდნენ: დ. გობეჯიშვილი (საქართველო, თავისუფალი ჭიდაობა), ს. დავიდოვა (რსფსრ, ბიატლონი), ნ. ჟურავსკი (მოლდოვა, ნიჩბოსნობა კანოეთი), ნ. კალინინა (უკრაინა, ტანვარჯიში), ა. კარელინი (რსფსრ, კლასიკური ჭიდაობა), ა. ორაზდურდიევი (თურქმენეთი, ძალოსნობა), ვ. რენეისკი (ბელორუსია, ნიჩბოსნობა კანოეთი), მ. ტატარინოვი (მოსკოვი, ჰოკეი), მ. ხადარცევი (რსფსრ, თავისუფალი ჭიდაობა), ი. იანსონი (ესტონეთი, აკადემიური ნიჩბოსნობა).

გამოცხადდა საუკეთესო მწვრთნელთა ათეულიც, რომელშიც შევიდნენ: ვ. გლადჩენკო (ასტრახანი, ხელბურთი), ი. გრინკო (კიევი, აკადემიური ნიჩბოსნობა), გ. გუცუ (კიშინიოვი, ძალოსნობა), ა. კირპიჩენკო (კიშინიოვი, ნიჩბოსნობა კანოეთი), ვ. კუზნეცოვი (ნოვოსიბირსკი, კლასიკური ჭიდაობა), მ. ლეპიკი (პიარნუ, აკადემიური ნიჩბოსნობა), ო. ოსტაპენკო (ხერსონი, ტანვარჯიში), გ. სალარაძე (თბილისი, თავისუფალი ჭიდაობა), ვ. შიტიკოვი (სვერდლოვსკი, ბიატლონი), ვ. იურზინოვი (მოსკოვი, ჰოკეი).



საქართველოს ღია ჩემპიონატმა ნარდში მართლაც ჩინებულად ჩაიარა. ეს განაპირობა როგორც ტურნირის უნაკლო ორგანიზაციამ, ასევე მონაწილეთა მაღალმა კლასმა. თითქმის ყველა პარტია უშეღავათოდ, დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა. და აი, გუშინ დასრულდა პირველი საერთაშორისო შეჯიბრება: ახალგაზრდულ ცენტრ „ბერიკონში" გაიმართა ფინალური შეხვედრები მოკლე და გრძელ ნარდში. გრძელი ნარდის ფინალურ ორთაბრძოლაში აზერბაიჯანელმა აგიკ ბაბაევმა დაამარცხა თბილისელი ვალერიან თორელი — 6:0 და ჩემპიონობა მოიპოვა.

მოკლე ნარდში ფინალური შეხვედრა გვიან დამთავრდა.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

# ფიფა-ს ახალი გადაწყვეტილებანი

**ციურიხში** შედგა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელმაც იმსჯელა თამაშის წესების შესაძლო ცვლილებებზე. მსოფლიო ფეხბურთის ხელმძღვანელობა დიდადაა შეშფოთებული თამაშის შედეგიანობის მკვეთრი დაქვეითებით და განზრახული აქვს შემტევ მხარეს მისცეს უპირატესობა.

— ფეხბურთი თავისი ბუნებით, შემტევი თამაშია, გუნდების უმეტესობა კი ამჟამად, იმ მიზნით გამოდის მინდორზე, რომ, უპირველეს ყოვლისა, დაიცვას საკუთარი კარის უსაფრთხოება, — განაცხადა ფიფა-ს გენერალურმა მდივანმა იოზეფ ბლატერმა. — აი,ამიტომაც დღის წესრიგში დავაყენეთ საკითხი — ავამაღლოთ მილიონთათვის საყვარელი სპორტის სახეობის სანახაობითი მხარე.

ალმასკომმა შექმნა სპეციალური ჯგუფი, რომელიც მოწოდებულია მომავალი წლისთვის შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები. ი. ბლატერის აზრით, თამაშის წესებში ცვლილებები შეიძლება მოხდეს უკვე 1992 წელს. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია კარების ზომების გაზრდა, რასაც, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, მოჰყვება დიდი ფინანსური პრობლემები: მეტისმეტად ძვირი დაჯდება მსოფლიოს სტადიონებზე, მილიონობით კარის შეცვლა. მეორე მხრივ, ისეთი ავტორიტეტი, როგორიცაა უეფა-ს პრეზიდენტი ლენარტ იოჰანსონი, შიშობს, რომ დიდ კარს შეუძლია გამოიწვიოს საპირისპირო ეფექტი — თამაშებში ბევრი ბურთი გავა და ფეხბურთიც სწორედ ამ მიზეზით დაკარგავს თავის მიმზიდველობას.

ასეა თუ ისე, ექსპერტთა ჯგუფი პირველ სხდომას ჰამართავს უკვე თებერვალში. მის შემადგენლობაში შედიან მწვრთნელი, მსაჯი, ჟურნალისტი, ექიმი, ადმინისტრატორი და მოქმედი ფეხბურთელი. ამით ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია ცდილობს გაითვალისწინოს ყველა დაინტერესებული მხარის შეხედულება, კომისიის პერსონალური შემადგენლობა ჯერ გარკვეული არაა. ცნობილია მხოლოდ; რომ მწვრთნელთა კორპუსიდან მის შემადგენლობაში იქნება საფრანგეთის ნაკრების ხელმძღვანელი მიშელ პლატინი.

ფიფა-ს ალმასკომის სხდომაზე დღის წესრიგში მარტო წესებში ცვლილებები როდი იდგა, აქ გადაწყდა შემდეგი საკითხები:

— 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე აფრიკა მიიღებს სამ ადგილს. ეს მესამე ადგილი აფრიკელებს წარმატებული თამაშისთვის მიეკუთვნათ ევროპის გუნდების ხარჯზე.

— ევროპა ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში 24-დან მიიღებს 13 ადგილს და ამ რიცხვში შევა მსოფლიო ჩემპიონის გერმანიის გუნდის „დაჯავშნული" ადგილიც.

— სამხრეთ ამერიკას დაეთმო 3 ადგილი და შეეძლება, მეოთხე გუნდიც გაგზავნოს მსოფლიო ჩემპიონატზე. ამ დამატებით ადგილს სამხრეთ ამერიკა ორ დამატებით მატჩში გაითამაშებს ჩრდილოეთ ამერიკისა და ოკეანიის წარმომადგენელთან.

— აზიის წარმომადგენლებს უარი ეთქვათ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მესამე გუნდის გამოყვანაზე, ვინაიდან ბოლო 3 მსოფლიო ჩემპიონატში აზიელები სუსტად გამოდიან.

— კოსტა-რიკა დისკვალიფიცირებულია ორი წლის ვადით ჭაბუკთა ყველა იმ შეჯიბრებაში, რომელიც ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ჩატარდება. მიზეზი ამ ქვეყნის მოთამაშის, ე. მედფორდის ასაკით მანიპულირება გახლავთ.

— კოლუმბიას აეკრძალა თავის მინდორზე ყოველგვარი საერთაშორისო მატჩის ჩატარება იმ დრომდე, სანამ აქაურ სტადიონებზე არ აღმოიფხვრება ტერორი და ზეგავლენა მოთამაშეებზე და მსაჯებზე.

— ერაყი გაძევებულია საერთაშორისო საფეხბურთო საზოგადოებრიობიდან, სანამ სპარსეთის ყურეში კრიზისი საბოლოოდ არ აღმოიფხვრება. ყოველგვარი კონტაქტი ამ ქვეყნის ფეხბურთელებთან კატეგორიულად აკრძალულია.

— ისრაელს ნება დაერთო, ითამაშოს ევროპის ზონის შესარჩევ შეჯიბრებებში.

1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის მასპინძლობაზე განაცხადები შეტანილი ჰქონდათ საფრანგეთს, მაროკოს და შვეიცარიას. ამ ქვეყნებს ახლა დაემატნენ ბრაზილია და პორტუგალია.

# „პორტლენდი" არ ხუმრობს

ნბა-ს პროფესიულ კალათბურთელთა ჩემპიონატის რეკორდი წაუგებელი მატჩების სერიაში ეკუთვნის „ნიუ-იორკ ნიკსს", რომელმაც 1969-1970 წლების სეზონში 23 შეხვედრა მოიგო ზედიზედ. წლეულს ამ რეკორდის გაუმჯობესებას „პორტლენდი" აპირებს. მან უკვე მოიგო 18 შეხვედრა და უახლოესი ხუთი მატჩიდან ოთხს შინ ჩაატარებს. თუ ყველაფერი კარგად წავიდა, „პორტლენდი" დაეწევა „ნიუ-იორკს", მერე კი უკვე რეკორდის გაუმჯობესებაზეც შეიძლება ფიქრი.

რა მდგომარეობაა ამჟამად ჩემპიონატში?

**დასავლეთის კონფერენცია**

**წყნარი ოკეანის დივიზიონი**

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| „პორტლენდი" | 18 | 1 | 947 |
| „გოლდენ სტეიტი" | 12 | 7 | 632 |
| „ლეიკერსი" | 11 | 6 | 625 |

**შუა-დასავლეთის დივიზიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| „სან-ანტონიო" | 10 | 5 | 667 |
| „იუტა ჯაზი" | 12 | 7 | 632 |
| „ჰიუსტონი" | 11 | 8 | 579 |

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

**ატლანტის დივიზიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბოსტონი" | 15 | 4 | 789 |
| „ფილადელფია" | 13 | 6 | 684 |
| „ნიუ-ჯერსი" | 7 | 11 | 389 |

**ცენტრალური დივიზიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| „დეტროიტი" | 14 | 6 | 700 |
| „მილუოკი" | 14 | 6 | 700 |
| „ჩიკაგო" | 12 | 7 | 632 |



# იუგოსლაველ კალათბურთელთა ორმაგი აღიარება

**მილანი.** „გაძეტა დელო სპორტის" ტრადიციულმა ანკეტამ ევროპის საუკეთესო კალათბურთელად იუგოსლავიის ნაკრების ლიდერი ტონი კუკოჩი დაასახელა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს 17 ქვეყნის კალათბურთის მიმომხილველებმა.

კუკოჩის გამარჯვება რეფერენდუმში არ არის მოულოდნელი ჯერ თუნდაც იმიტომ, რომ მან 208 ქულა დააგროვა და საგრძნობლად გაუსწრო მეორე იუგოსლაველ კალათბურთელს დინო რაჯას — 49 ქულა.

წლევანდელი სეზონი „იუგოპლასტიკის" 22 წლის თავდამსხმელისთვის (სიმაღლე 207 სანტიმეტრი) საკმაოდ „ბარაქიანი" იყო. მან დიდი წვლილი შეიტანა თავისი გუნდის გამარჯვებაში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე. ამავე დროს, კუკოჩი, როგორც ეროვნული ნაკრების ლიდერი, გამოდიოდა კეთილი ნების თამაშებსა და მსოფლიო ჩემპიონატში, შეჯიბრებებში, რომლებშიც, იუგოსლავიის ნაკრებმა პირველი ადგილები დაიკავა.

იუგოსლავიის კალათბურთის წარმატებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ კონტინენტის საუკეთესო კალათბურთელად ქალთა შორისაც ამ ქვეყნის წარმომადგენელი, დანირა ნაკიჩი გამოცხადდა.

## ინფორმაცია

● **აშშ-ის** ფრენბურთის ფედერაციამ სასამართლოში უჩივლა სპონსორებს და ბრალი დასდო მათ იმაში, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრებთან მარტსა და სექტემბერში ჩატარებული შეხვედრების შემდეგ გუნდს პრემიები არ მიუღია. უფრო სწორად, სპონსორებმა სპორტსმენებს 123 ათასი დოლარი დააკლეს.

● **ესენში** გაიმართა ბატუტისტთა საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი, რომელმაც ამ ორგანიზაციის ახალი პრეზიდენტი ამერიკელი რონალდ ფრელიჰი აირჩია,

# კომპენსაციაც ასეთი უნდა

**მიუნხენში** გრძელდება ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი „დიდი მუზარადის" თასზე, რომლის საპრიზო ფონდი 6 მილიონ დოლარს შეადგენს, გამარჯვებულისთვის დაწესებული პრემია კი 2 მილიონი დოლარია.

უკვე გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები. მაიკლ ჩანგმა (აშშ) დაამარცხა ანრი ლეკონტი (საფრანგეთი) 7:6, 6:3, პიტ სამპრასმა (აშშ) კი გორან ივანიშევიჩი (იუგოსლავია) 7:6, 6:7, 8:6...

დამარცხება ასეთ პრესტიჟულ ტურნირში, რა თქმა უნდა, გულდასაწყვეტია, მაგრამ არის სერიოზული კომპენსაციაც. მაგალითად, მეოთხედფინალში დამარცხებულმა ლეკონტმა და ივანიშევიჩმა „ნუგეშად" 300 ათასი დოლარი მიიღეს (რა თქმა უნდა თითოეულმა), ნახევარფინალში გასულებს კი უკვე განაღდებული აქვთ 450 ათას დოლარიანი ჰონორარი (აქაც, რა თქმა უნდა, თითოეულს). შემდგომში საპრიზო თანხა ერთიორად გაიზრდება, ასე რომ, მთავარი პრიზისთვის მებრძოლებს საკმაოდ რეალური სტიმული აქვთ.

# უცხოეთის ფეხბურთის ამბები

**ნეაპოლი.** „მე მგონი, ბიგონი შეიშალა", — ასე შეაფასა დიეგო მარადონამ „ნაპოლის". მწვრთნელის გადაწყვეტილება, იმის გამო, რომ იტალიის ჩემპიონატის მორიგ მატჩში მან მარადონა საერთოდ არ შეიყვანა გუნდის შემადგენლობაში. შემდეგ ცნობილმა არგენტინელმა ფეხბურთელმა დაუმატა: „ეს იყო უკანასკნელი წვეთი მოთმინების ფიალაში. ახლა სხვა აღარაფერი დამრჩენია, თუ არა ის, რომ გამოვემშვიდობო კლუბს".

როგორც ცნობილია, დ. მარადონამ ბოლო ხანებში რამდენჯერმე უარი განაცხადა საპასუხისმგებლო მატჩებში მონაწილეობაზე, გააცდინა წვრთნა, თვითნებურადაც რამდენჯერმე წავიდა გუნდიდან. „ნაპოლის" ხელმძღვანელობის აზრით, ლიდერის ასეთმა საქციელმა არა მარტო გავლენა იქონია იტალიის შარშანდელი ჩემპიონის თამაშზე და საშუალო ძალის გუნდამდე ჩამოაქვეითა იგი, არამედ დიდი ზიანი მიაყენა საერთოდ კლუბის რეპუტაციას.

თუ მარადონას მართლაც განზრახული აქვს დატოვოს კლუბი, როგორც ადგილობრივი გაზეთები იუწყებიან, კონტრაქტის წინასწარი დარღვევისთვის, რომელიც 1993 წლამდეა გაფორმებული, მას მოუწევს კარგა მოზრდილი თანხის გადახდა.



● **ბერნი.** საფეხბურთო ასოციაციათა ევროპის კავშირმა უკმაყოფილება გამოთქვა კონტრაქტების დადებისას შუამავლების ასეთი დიდი მასშტაბებით გამოყენების გამო. როგორც უეფა-ს წარმომადგენელმა განაცხადა: „ფული უნდა დარჩეს ფეხბურთში და ჩვენც ყველაფერს ვიღონებთ საიმისოდ, რომ სატრანსფერო ოპერაციები განხორციელდეს უშუალოდ კლუბებსა და ფედერაციებს შორის".

ამავე დროს უეფა-მ გამოაცხადა, რომ შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის ამოცანაა შეისწავლოს „შუამავალთა" მოღვაწეობის მექანიზმი, განსაკუთრებით მათი, ვინც მაცდუნებელ პირობებს სთავაზობს აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ფეხბურთელებს და არახელსაყრელ კონტრაქტებს აფორმებს დასავლეთის მდიდარ კლუბებთან.

● **რომი.** იტალიის ხელისუფლებამ გადაწყვიტა შეამოწმოს, თუ რატომაა ასეთ არასახარბიელო მდგომარეობაში 4 სტადიონის საფეხბურთო მინდვრები, სადაც ამ ზაფხულს მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები მიმდინარეობდა. საქმე ისაა, რომ ამ სტადიონების კეთილმოწყობისთვის (მილანი, რომი, გენუა, ტურინი) მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე და მერეც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გვარიანი თანხები დაიხარჯა.

მილანის „სან-სიროზე" და რომის ოლიმპიურ სტადიონზე სათამაშო მინდვრები ყოვლად უვარგის მდგომარეობაშია და ბევრი სპეციალისტი ამაში ადანაშაულებს იმ ტექნიკურ სიახლეს, რომ რეკონსტრუქციის დროს ტრიბუნებს დამცველი სახურავები გაუკეთეს. მართალია, მათ თავიანთი პირდაპირი დანიშნულება გაამართლეს, დაიცვეს მაყურებლები წვიმისა და სიცხისაგან, მაგრამ, ექსპერტების აზრით, ამით დაირღვა ბუნებრივი ვენტილაცია, ბალახს მოაკლდა სინათლე, რაც ასე აუცილებელია მისი ზრდისთვის.

# გამკითხავი არავინ არის

ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ბრატისლავის საფეხბურთო გუნდი „ინტერი" ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრების ჩასატარებლად ნიკარაგუას გაემგზავრა მოსკოვის გავლით. როგორც სლოვაკეთის გაზეთები წერენ, მანაგუაში ჩასვლისას დელეგაციის წევრებმა მიიღეს თავიანთი ბარგი, რომელიც მოსკოვის „შერემეტიევო-2"-ის აეროპორტში ერთიანად გაეძარცვათ და გადაექექათ. მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს მოსკოვის აეროპორტის მომსახურე პერსონალმა მოჰპარა სპორტული ფორმა, ტანსაცმელი, ფოტოაპარატები.

კიევის „დინამოს" ყოფილმა მოთამაშემ, ახლა კი „ინტერის" თავდამსხმელმა ვიქტორ დვირნიკმა, თანაგუნდელებს განუმარტა, რომ „შერემეტიევოს" აეროპორტში მგზავრთა ნივთების ასეთი ჩხრეკვა ჩვეულებრივი ამბავია. „შერემეტიევო" დიდი ხანია, მგზავრთა ძარცვის ადგილად იქცა, გამკითხავი, კი არავინ არის.

## მეთექვსმეტე სვეტი

● **იმის გამო,** რომ საბჭოთა კავშირის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ალექსანდრე გომელსკიმ ხელი მოაწერა კონტრაქტს საფრანგეთის კლუბ „ლიმოჟთან“ და მისი მწვრთნელი გახდა, ამიერიდან ველარ ჩაითვლება საერთაშორისო ფედერაციის ალმასკომის წევრად. ამ დღეებში განაცხადა ფიბა-ს გენერალურმა მდივანმა ბორისლავ სტანკოვიჩმა. ასეთი შეთავსება ამ ორგანიზაციის ფუნქციონერებს სასტიკად ეკრძალებათ. მოქმედი მწვრთნელები და არბიტრები არ შეიძლება იყვნენ ფედერაციის ალმასკომის თანამშრომლები.

● **დილერეი ბიჩში** (აშშ, ფლორიდის შტატი) მიმდინარე ჩოგბურთელ გოგონათა თასის გათამაშებაში საბჭოთა ნაკრებმა დაამარცხა ჰოლანდიის გუნდი (3:0) და ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. ნახევარფინალში ვიდნენ, აგრეთვე, ესპანეთი (დაამარცხა აშშ — 3:0), ბელგია (ვენესუელასთან — 3:0) და არგენტინა (იტალიასთან — 2:1). აქვე გრძელდება იუნიორთა შეჯიბრება „სანშაინის“ თასზე, რომელშიც სსრ კავშირის ნაკრებმა აჯობა შვეციის გუნდს (2:1), მექსიკელებმა კი ... ალიის ნაკრები დაამარცხეს (2:1).

● **ლისაბონის** მახლობლად ... ერორტო ქალაქ ეშტორილში ... ხსნა ცნობილი მოჭადრაკის ალექსანდრე ალიოხინის მემორიალი. როგორც ცნობილია, წარმოშობით ... მა მოჭადრაკემ და ემიგრანტმა ... ისი ცხოვრების დიდი ნაწილი ... ოეთში გაატარა, ცხოვრების ... ო დღეები კი პორტუგალიის ... ქალაქში. ამ დღეებში ეშტორი... სასტუმრო „პარიზის“ შესასვლელთან გამოაკრეს დაფა წარწერით: „ალექსანდრე ალიოხინი, ... ოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში. პორტუგალიაში მისი პირველი ვიზი... ის 50 წლისთავი. 1940-1990“.

● **ინგლისის** საცხენოსნო წრეებში ახალი სკანდალი მწიფდება. „ჟოკეისტთა კლუბმა“ — ბრიტანეთის საცხენოსნო სპორტის ხელმძღვანელმა ორგანომ 15.600 დოლარი ჯარიმა დააკისრა მწვრთნელს მოჰამედ მუბარეკს, ვინაიდან მასზე გაპიროვნებულ ექვს ცხენს სისხლში ანაბოლიური სტეროიდების (სხვაგვარად დოპინგის) კვალი აღმოუჩინეს, ექსპერტთა კომისიის აზრით, აკრძალული პრეპარატები ჯერ კიდევ აპრილშია ჩამოტანილი აშშ-დან.

● **ბულგარეთში** შექმნილმა რთულმა პოლიტიკურმა სიტუაციამ საეჭვო გახადა ევროპის ჩემპიონატის ჩატარება ფიგურულ ციგურაობაში, რომლისთვისაც სოფიას უნდა ემასპინძლა. მაგრამ ბოლო დროს მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა და გადაწყდა, რომ შეჯიბრება გაიმართება დანიშნულ დროსა და დანიშნულ ადგილზე (ე. ი. 1991 წლის 22-27 იანვარს). როგორც ბტა-ს სააგენტო იუწყება, ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი უკვე განაცხადა თხუთმეტმა ქვეყანამ, განაცხადების მიღება კი გრძელდება. გამოცხადდა აგრეთვე, რომ ორგანიზატორებმა ჯერჯერობით ჟურნალისტთა ასზე მეტი საკრედიტაციო განაცხადი მიიღეს.

# ხიფათიანი წელიწადი

## „ფორმულა-1“

**დასრულდა** მსოფლიოს 41-ე ჩემპიონატი „ფორმულა 1“ კლასის ავტომობილებით რბოლაში. პილოტები და გუნდები დეკემბერში შეუდგებიან ახალი ძრავებისა და ავტომობილების გამოცდას. ჩვენ კი კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი წლევანდელ ასპარეზობას.

ტურბოკომპრესორის აკრძალვამ ხელი ვერ შეუშალა სიჩქარის ზრდას, რასაც შედეგად მრავალი უსიამოვნება მოჰყვა. ავარია თითქმის ყველა პილოტმა განიცადა, ყველაზე მძიმე შედეგი კი ჰქონდა ახალგაზრდა მარტინ დონელის ავარიას „ხერესზე“, საკვალიფიკაციო რბოლების დროს.

მაგრამ არამარტო კატასტროფები დაამახსოვრდა გულშემატკივარს ამ ჩემპიონატიდან. იყო აირტონ სენასა და ალენ პროსტის მიერ საუცხოოდ ჩატარებული რბოლები „ფენიქსსა“ და „ინტერლაგოსზე“, მონაკოს ქუჩებსა და მეხიკოს „როდრიგესის“ ტრასაზე, „პოლ რიკარზე“, სადაც ფრანგმა პილოტმა „ფერარისთვის“ მე-100, საიუბილეო „გრან პრი“ მოიგო და ერთი კვირის შემდეგ „სილვერსტოუნზე“, მანვე პირველი „ჰეთ-თრიკი“ შეასრულა ნიკი ლაუდას შემდეგ, რომელმაც ეს მოახერხა 1976 წელს.

ავტოსპორტის მოყვარულები გაიხსენებენ ნაიჯელ მენსელის დიდ სურვილს, როგორმე არ ჩამორჩენოდა თანაგუნდელს, რაც ხშირად მარცხით მთავრდებოდა და ზოგ შემთხვევაში პროსტის წყრომასაც იწვევდა („ეშტორილი“), მაგრამ ინგლისელმა პილოტმა მაინც გარკვეული წვლილი შეიტანა თავისი გუნდის წარმატებაში. გარდა ამისა, იგი დაეხმარა ალენ პროსტს ეჩვენებინა ის შედეგი, რასაც ასე ელოდნენ. „ფერარის“ რიგებში ასპარეზობის პირველივე წელს ფრანგი პილოტი ვიცე-ჩემპიონი გახდა. გამართლდა სპეციალისტთა წინასწარმეტყველება. „პროფესორი“ ყოველთვის საუკეთესო სპორტულ ფორმაშია. მას შეუძლია ყველაზე დაბალი კლასის გუნდი ლიდერებში გაიყვანოს.

ყველასათვის მოულოდნელი იყო ავტორბოლების ვეტერანის, რიკარდო პატრეზეს გამარჯვება „იმოლაზე“. თვით პილოტსაც არ სჯეროდა ამისა და როცა ჟან-მარი ბალესტრის ხელიდან კუთვნილი პრიზი მიიღო, სიხარული ვერ დაფარა. „სილვერსტოუნზე“ პატრეზე მეორასედ დადგა სტარტზე.

ცოტა უცნაურად ჩანს ტიერი ბუტსანის გადასვლა „ლიჟიეში“. „უილიამს რენოს“ საჭესთან ორ წელიწადში მან მოიგო 3 „გრან-პრი“, ერთი საკვალიფიკაციო და და-



ამყარა ტრასის ერთი რეკორდი. სხვაგვარად ფიქრობს გი ლიჟიე. მისი აზრით, ტიერი ბუტსანისა და ახალგაზრდა ერიკ კომას დუეტი თავის სიტყვას იტყვის, თუ, რა თქმა უნდა, ამას ხელს შეუწყობს იტალიური „ლამბორგინიც“.

საგრძნობლად გააუმჯობესა თავისი მდგომარეობა „ბენეტონმა“, ალესანდრო ნანინისა და ნელსონ პიკეს დუეტი საიმედო გამოდგა. იტალიელმა პილოტმა რამდენჯერმე მეორე-მესამე ადგილები დაიკავა, რასაც დაემატა ბრაზილიელი თანაგუნდელის მიერ მოგებული ორი ეტაპი. ახლა „ბენეტონ ფორდის“ აქტივშია 4 „გრან-პრი“, 2 რეკორდი და კონსტრუქტორთა და პილოტთა შორის მ... ... ადგილი. ჯონ ბერნარდი გუნდს კიდევ უფრო დაწინაურებას ... ჰპირდა, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი შემთხვევა — სრულიად მოულოდნელი ავიაკატასტროფა საკუთარი ვერტმფრენის გამოცდის დროს.

„ფერარის“ მსგავსად, რომელმაც ნაიჯელ მენსელის მაგივრად ჟან ალეზი მიიწვია, „ბენეტონიც“ შეუდგ კანდიდატურის ძებნას ნანინის მაგივრად და ამოირჩია კიდეც რამდენიმე, რომელთა შორის ყველაზე რეალურია იაპონელი აუგური სუძუკი.

გერჰარდ ბერგერმა წელს ვერ მოიგო „გრან პრი“, მაგრამ მაინც შეუწყო ხელი „მაკლარენის“ კიდევ ერთ ჩემპიონობას, მოიგო 2 საკვალიფიკაციო, დაამყარა ტრასის 3 რეკორდი და რამდენჯერმე გავიდა მეორე-მესამე ადგილებზე.

სამწუხაროდ, ვერაფრით გამოიჩინეს თავი გრეგორ ფოიტეკმა, მიქელე ალბორეტომ, მარტინ დონელიმ, ოლივიე გრუიარმა, ემანუელე პირომ, ანდრეა და ჩეზარისმა, პიერლუიჯი მარტინიმ, პაოლო ბარილამ, ნიკოლა ლარინიმ, ფილიპ ალიემ, ბერტრან გაშომ, კლაუდიო ლანგესმა, სტეფან იოჰანსონმა, ირკი იარვილეჰტომ, დევიდ და გერი ბრებემებმა, ბრუნო ჯაკომელიმ. თუმცა, არც ერთი არ კარგავს იმედს, ყველა ახალ, უფრო ხელსაყრელ კონტრაქტს ელის. ... ფორმდა რამდენიმე: „მაკლარენ-ჰონდას“ წყვილი უცვლელი დარჩა; „ტაირელ-ჰონდამ“ მიიწვია სტეფანო მოდენა, იგი სატორუ ნაკაჯიმასთან ერთად იასპარეზებს; „უილიამს-რენოს“ დუეტი ისეთივეა, როგორიც ორი წლის წინ; „ბრებემ-იამაჰას“ დაუბრუნდა მარტინ ბრანდლი; „ეროუზ-პორშეს“ კვლავ იგივე დუეტი ეყოლება; „ლეიტონ ჰაუს-ჯადის“ წყვილიც უცვლელი რჩება; „დალარა-ჯადმა“ მიიწვია ფინელი ირკი იარვილეჰტო ანდრეა დე ჩეზარისის მაგივრად; „მინარდი-ფერარი“ — პიერლუიჯი მარტინი — ჯანი მორბიდელი; „ლიჟიე-ლამბორგინი“ — ტიერი ბუტსანი — ერიკ კომა, „ფერარი“ — ალენ პროსტი — ჟან ალეზი, „ლამბორგინი“ —ნიკოლა ლარინი — ერიკ ვან დერ პოელი.

გამომცდელებად კვლავ რჩებიან ალან მაკნიში („მაკლარენი“), მარკ ბლანდელი („უილიამსი“), ბერნარდ შნაიდერი („ეროუზი“), ჯონი ჰერბერტი („ლოტუსი“), კრისტინ დანერი („ლეიტონ ჰაუსი), ანდრეა მონტერმინი („დალარა“), მარკო აპიჩელა („ლამბორგინი“).

დაბოლოს, იმ პილოტთა შესახებ, ვინც „პროტოტიპებში“ საასპარეზოდ გადავიდა. დერეკ უორვიკი მიიწვია „სილკ ქათ იაგუარმა“, რომლის მენეჯერია ყოფილი ავტომრბოლი ტომ უოკინშოუ. ჟან ტოდტმა მიიწვია ფილიპ ალიე და იანიკ დალმა. ახლა „პეჟო 905 პროტოტიპის“ წყვილები ასე გამოიყურება: მაურო ბალდი — ფილიპ ალიე და კეკე როსბერგი — იანიკ დალმა.

**დავით ჩუბინიძე**

---

კრივის სამყაროში

# „ჰოლ ოვ ფეიმი“

**1954 წელს** ჟურნალ „რინგის“ რედაქციაში დაარსდა „ჰოლ ოვ ფეიმი“ (სახელოვნების დარბაზი), რომელშიც შევიდნენ ერთი მხრივ კრივის ნაცადი ექსპერტები, მეორე მხრივ კი სპორტული ჟურნალისტები. მათ თავიანთი არჩევანისამებრ „სახელოვნების დარბაზში“ უნდა შეეყვანათ სხვადასხვა დროის გამოჩენილი, სახელმოხვეჭილი, რინგის ასპარეზზე დიდი დამსახურების მოკრივენი. ამასთან სავალდებულო სულაც არ გახლდათ, რომ ისინი მსოფლიო ჩემპიონები ყოფილიყვნენ.

მთელი მსოფლიოს ყველა დროის მოკრივენი დაყვეს სამ ჯგუფად: 1) კრივის პიონერთა, 2) ძველი დროის და 3) თანამედროვე მოკრივეთა ჯგუფებად.

არჩევნები უნდა ჩატარებულიყო სწორედ ამ დაყოფის მიხედვით.

პირველი ჯგუფის მოკრივეების — შიშველი მუშტით მებრძოლთა — კანდიდატებს (ვითარ რთულად დასადგენს) ამტკიცებდა „ჰოლ ოვ ფეიმის“ მესვეურთა საგანგებო საბჭო.

მეორე ჯგუფის (85 წლით თუ უფრო გვიანდელ) მოკრივეების კანდიდატებს ამტკიცებდა კომიტეტი, შედგენილი კრივის ექსპერტთაგან.



ტომ კინგი

მესამე ჯგუფის მოკრივეების — რინგის თანამედროვე აქტიურ მებრძოლთა კანდიდატებს ამტკიცებდნენ პრესის, რადიოსა და ტელევიზიის სპორტული ჟურნალისტები.

1977 წლის არჩევნებით „ჰოლ ოვ ფეიმში“ მოხვდნენ შემდეგი მოკრივეები:

პირველ ჯგუფში — ტომ კინგი;
მეორე ჯგუფში — ჯეიმს ედვარდ ბრიტი;
მესამე ჯგუფში — ფლოიდ პატერსონი, ჩოკი რაიტი, ლუ ჯენკინსი;
წარმოგიდგენთ პირველი და მეორე ჯგუფის კანდიდატებს.

### ტომ კინგი

შიშველი მუშტით მებრძოლი ტომ კინგი დაიბადა 1835 წელს, 11 აგვისტოს, ლონდონში, სტეპნიში; მსახურობდა ინგლისის სამეფო საზღვაო ფლოტში. იგი იწონიდა 80 კგ-ს და იყო 188 სმ სიმაღლის.

ტომ კინგი გამოდიოდა 1858-63 წლებში. თავისი უმთავრესი ბრძოლები მან გამართა გამოჩენილ ინგლისელ მოკრივე ჯეიმ მეისთან და გამოჩენილ ამერიკელ მოკრივე ტომ ჰინენთან.

1862 წლის 28 აპრილს ტომ კინგმა 68-ე წუთზე წააგო 43-რაუნდიანი ბრძოლა ჯეიმ მეისთან, ხოლო 1862 წლის 26 ნოემბერს ამავე ჯეიმ მეისთან შეხვედრისას გაიმარჯვა 21-ე რაუნდში.

1863 წლის 8 დეკემბერს შედგა დიდი მატჩი მსოფლიო ჩემპიონობისათვის. სანაძლეო, ასე განსაჯეთ, 5000 დოლარსაც კი აღწევდა. ტომ ჰინენმა მხოლოდ 24 რაუნდი გაუძლო მრისხანე ტომ კინგს. ეს გახლდათ კინგის უკანასკნელი ბრძოლა. შემდგომ კინგმა რინგი მიატოვა და გახდა ჩინებული ნიჩბოსანი და ცხენოსანი.

რინგის ეს უძლიერესი ოსტატი ალესრულა 1888 წლის 1 ოქტომბერს, სტოკბრიჯში. მის მიერ სპორტულ სარბიელზე გამოსვლების შედეგად დაგროვილი თანხა 30 000 000 დოლარსაც კი აღწევდა, რაც იმ დროს უდიდეს ქონებად ითვლებოდა.

რინგის ამ დიდოსტატმა კრივის მოყვარულთა და მენცართა მიერ



ჯეიმს ედვარდ ბრიტი

შთაგრძნობილ ეგზოტერულ (სხვათათვის ხილულ) თუ ეზოტურ (სხვათათვის დაფარულ) თვისებათა გამო სამუდამოდ დაიდო ბინა დიად მოკრივეთა პანთეონში, „ჰოლ ოვ ფეიმში“ (დარბაზში სახელოვნებისა).

### ჯეიმს ედვარდ ბრიტი

შიშველი მუშტით ბრძოლის ხანის მოკრივე, ჯეიმს ბრიტი, დაიბადა სან-ფრანცისკოში 1879 წელს. იგი პროფესიონალი მოკრივე გახდა საკმაოდ გვიან, მაგრამ ამ ვითარებას კრივის მენცართათვის ხელი სრულიადაც არ შეუშლია იმაში, რომ ბრიტი ჩაეთვალათ აღმოჩენად, როცა მან მოუგო კად ლავინსა და ფრენკ ირნსს, მსოფლიო ჩემპიონებს მსუბუქ წონაში, პირველს მე-5, ხოლო მეორეს — მე-7 რაუნდში. მართალია ლავინმა ჩემპიონობა დათმო 1899 წელს ირნსთან ბრძოლაში და ამ უკანასკნელს კი 1902 წელს, ბრიტთან შეხვედრამდე 6 თვით ადრე სძლია ჯო განსმა, მაგრამ ისინი მაინც ითვლებოდნენ ძალზე ძლიერ მოკრივეებად.

ჯეიმს ბრიტი იწონიდა 60 კგ-ს და იყო 167 სმ. სიმაღლის. მას მენეჯერად ჰყავდა თავისი ძმა, ვილასი, ვინც შემდგომ გახდა დიდი მოკრივის, სტენლი კეტჩელის, მენეჯერი.

1904 წელს ბრიტმა ორი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა: 20-რაუნდიან ბრძოლაში მოუგო მსოფლიოს ჩემპიონს ქვემსუბუქ წონაში — იანგ კორბეტს და მომავალ მსოფლიო ჩემპიონს, ასევე მსუბუქ წონაში — ბათლინგ ნელსონს. ამ უკანასკნელს ის შეხვდა კიდევ სამჯერ: 1905 წელს წააგო ნოკაუტით მე-18 რაუნდში, 1907 წელს მოიგო 20-რაუნდიანი ბრძოლა და 1908 წელს 10-რაუნდიანი მატჩი დაამთავრა ფრედ.

1904 წელს იგი შეხვდა ჯო განსს, მაგრამ მე-4 რაუნდში მოხსნილ იქნა რინგიდან. ბრიტი ამ მოკრივეს მეორედ შეხვდა 1907 წელს და კვლავ წააგო, რადგან განსის დარტყმის გამო გროგი იწვნია, გაბრუებულმა უხერხულად მოიქნია ხელი და მოიტეხა კიდეც.

უკანასკნელი სამი ბრძოლა უკვე პეწდაკარგულმა ბრიტმა ჩაატარა ლონდონში, სადაც სამგზის შეხვდა ინგლისის ჩემპიონს მსუბუქ წონაში ჯონი სამერსს. პირველად მოიგო 10-რაუნდიანი ბრძოლა, მეორედ წააგო 20-რაუნდიანი შეხვედრა, მესამე მატჩში კი, 1909 წელს, მე-9 რაუნდში სამერსისაგან ნოკაუტი იწვნია.

ბრიტმა ჩაატარა სულ 23 მატჩი. აქედან მოიგო 13, წააგო 7, დანარჩენი კი დაამთავრა ფრედ.

შემდგომ ის გახდა თეატრის საკმაოდ კარგი მსახიობი. ალესრულა ბრიტი თავის მშობლიურ ქალაქ სან-ფრანცისკოში 1940 წელს.

კრივის მოყვარულთა და მენცართა მიერ შთაგრძნობილ ეგზოტერულ (სხვათათვის ხილულ) თუ ეზოტერულს (სხვათათვის დაფარულ) თვისებათა გამო, ჯეიმს ედვარდ ბრიტმა სამუდამოდ დაიდო ბინა დიად მოკრივეთა პანთეონში, „ჰოლ ოვ ფეიმში“ („დარბაზში სახელოვნებისა“).

**ედიშერ ბიორბაძე,**
საქართველოს კრივის ფედერაციის პროპაგანდის კომისიის თავმჯდომარე.

*წერილი ქვეყნდება ავტორისეული სტილით.*

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ბურდული. კორექტორები მ. ძებამიძე და ქ. ქავთარაძე.

ჩვენი მისამართი: წერილებისთვის — 380096, თბილისი, 8. კოსტავას ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები: წერილების განყოფილება — 93-97-55, ხაზდენი — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54, „მერანი“ — 93-97-20, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66685

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, 8. კოსტავას ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით სასტამბო კომბინატში: ..., 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდება.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20